

სენსომოტორული (ლათ. sensus აქტმა, შეგრძნება, გრძნობა + motor მამოძრავებელი) **ღონე**, **სენსომოტორიკა** – ინდივიდის აქტივობისა და განცდის უდაბლესი დონე, რომელსაც არ სჭირდება გაცნობიერება, არ ახლავს არავითარი წარმოდგენა – მიჯაჭვულია „აქ და ახლა“ მოცემულზე, უშუალო აქტის არეზე (შესაბამისად, არ სჭირდება მეტყველება, აზროვნება, ნებელობა). ამ დონეზე მთავარია **სენსორულ-აქტითი** და **კუნთურ-მოტორული** ფუნქციების ურთიერთკოორდინაცია: გარედან, ანდა საკუთარი **მოთხოვნილების** განცდიდან, ანდა საკუთარი **შიგა შეგრძნებებიდან** და **ფიზიოლოგიური** პროცესებიდან მიღებული ინფორმაცია ზემოქმედებს სხეულებრივ მოძრაობებზე; ხოლო სივრცეში მოძრაობა, თავის მხრივ, ახალი ინფორმაციის წყარო ხდება; ეს ახალი ინფორმაცია ცვლის მოძრაობებს და ა.შ.

განწყობის თეორიისთვის მიუღებელია ასეთი უშუალო ურთიერთკავშირი (იხ. **უშუალობის პოსტულატი**). ფუნქციების ურთიერთკოორდინაცია გაშუალებულია ინდივიდის განწყობით; მიღებული ინფორმაცია იწვევს ჯერ განწყობის გადაყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს სხეულებრივ მოძრაობებზე. უკუკავშირიც ასევე განწყობის შუალობით ხდება. **სღ**-ზე **აქტუალური განწყობა** აერთიანებს და მოგეზავს სენსორულ-აქტით და კუნთურ-მოტორულ **მდგენელებს**, აგრეთვე შესაბამის **დისპოზიციებს** (ჩვევებს, ჩვეულებებს, უნარჩვევებს), **ინსტინქტებს**. ქმდებათა წარსამართავად **გაცნობიერება** არაა საჭირო და მაშინ ქცევა ბოლომდე **იმპულსური** იქნება. მაგ., ცხოველისა თუ ჩვილის ყველა ქცევა მხოლოდ **სღ**-ისაა და თანაც თავიდან ბოლომდე იმპულსურია. თუმცა ცნობიერი ადამიანის შემთხვევაში ქცევა უმეტესად მაინც ცნობიერდება. ძირითადად **სღ**-ისაა მაგ., ჩოგბურთელის ქცევა ჩოგბურთის თამაშისას; ბავშვის ლაღი გაუაზრებელი ჭყუმპალაობა ტბაში; აგრეთვე ბავშვის მიერ წყალში ბაყაყების დანახვა და შიშისგან ნაპირზე ახტომა (ამ ქცევების დროს ცნობიერება პასიურია – მიმდინარე მოქმედებებს მხოლოდ აირეკლავს). ხოლო თუკი გაცნობიერების შედეგად მოქმედებები შეიცვლება, მაშინ ქცევა გადის **სღ**-იდან. მაგ., თუკი ჩოგბურთელმა გააზრებულად დაიწყო თამაშის ტაქტიკის შეცვლა, ან შეეცოდა მოწინააღმდეგე და ამიტომ შეასუსტა დარტყმების ჩვეული ძალა; ანდა თუკი ჭყუმპალაობის დროს ბავშვმა გააცნობიერა, რომ უკვე გვიანაა და ამის გამო ავიდა ნაპირზე. ეს უკვე აღარ იქნება **სღ**-ის ქცევები, რადგან ცნობიერების აქტიური ჩარევით იქნა შეცვლილი.